# საქართველოს კანონი

**საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ**

**მუხლი 1.** საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, №12, 1984 წელი, მუხ. 421) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:
1. მე-60 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 60. წყალსარგებლობის წესების დარღვევა**

1. საერთო წყალსარგებლობის წესების დარღვევა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 200-დან 400 ლარამდე.

2. ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყალაღება შესაბამისი წყალსარგებლობის ნებართვის გარეშე, ან შესაბამისი წყალსარგებლობის ნებართვის პირობების დარღვევით –

გამოიწვევს დაჯარიმებას 200-დან 300 ლარამდე.

3. წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლის ჩაშვება შესაბამისი წყალჩაშვების ნებართვის გარეშე, ან წყალჩაშვების ნებართვით დადგენილი პირობების დარღვევით, ასევე, წყლის ობიექტში მავნე ნივთიერებების (მათ შორის, მიკროორგანიზმების) ემისიების (ზღვრულად დასაშვები ჩაშვების) ნორმებისა და წყლის ობიექტის დატვირთვის ნორმების დარღვევა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 300-დან 500 ლარამდე.

4. ამ მუხლის პირველ–მე-3 ნაწილებში აღნიშნული ქმედებები, ჩადენილი განმეორებით, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 400-დან 800 ლარამდე.“.

2. 61-ე და $61^1$ მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 61. წყალსამეურნეო, წყალდამცავი და ნაპირდამცავი ნაგებობებისა და მოწყობილობების დაზიანება, მათი ექსპლუატაციის წესების დარღვევა**

1. წყალსამეურნეო, წყალდამცავი და ნაპირდამცავი ნაგებობებისა და მოწყობილობების დაზიანება, მათი ექსპლუატაციის წესების დარღვევა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 100-დან 200 ლარამდე.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 150-დან 250 ლარამდე.

**მუხლი $61^1$. წყალსარგებლობის თაობაზე ინფორმაციის მიწოდებისა და წყლის გამოყენების სახელმწიფო აღრიცხვის წარმოების წესების დარღვევა**

1. წყლის მდგომარეობაზე ზეგავლენის მომხდენი ავარიული სიტუაციების, ზალპური წყალჩაშვების, სხვა განსაკუთრებული სიტუაციების შესახებ ინფორმაციის დამალვა ან დამახინჯება –

გამოიწვევს დაჯარიმებას 50-დან 200 ლარამდე.

2. წყლის გამოყენების სახელმწიფო აღრიცხვის მონაცემების დადგენილი ფორმით და დადგენილ ვადაში წარმოუდგენლობა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 50-დან 150 ლარამდე.“.

**მუხლი 2.** ეს კანონი ამოქმედდეს 2026 წლის 1 სექტემბრიდან.

**საქართველოს პრეზიდენტი** **სალომე ზურაბიშვილი**

**თბილისი,**

**30 ივნისი 2023 წ.**

**N3434-XIმს-Xმპ**